საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი

MOD 2 16 00000957

27/10/2016

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სტრუქტურული რეორგანიზაციისა და საშტატო ნუსხით დამტკიცებულ თანამდებობათა მოსალოდნელ შემცირებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე და 108-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016 წლის 29 ნოემბრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში განხორციელდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შესაძლო შემცირებით.
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტმა (ნინო ბაქრაძემ) უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამოქალაქო პირთა გაფრთხილება რეორგანიზაციისა და საშტატო ნუსხით დამტკიცებულ თანამდებობათა შემცირების შემთხვევაში სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს (ნუკრი გელაშვილი).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ლევან იზორია